წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 10 კ. ტელეფონი № 76. შაბათი აგვისტოს 19 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . 10 მან.
თვიურათ . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველადე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს ნამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ. 2 საათის შემდეგ . . . მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ ს. მიქელაძისა
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 106 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 106

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციას თან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:
1. საქართვ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

აგვისტოს 17, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

ინგლისის ფრონტი საფრანგეთში

და აგრეთვე საგულისხმიერო დრამა **სიკვდილის ვალსი.**

ანონსი: აგვისტოს 21-დან, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი რუსულ ოქროს სერიიდან

თვითმპყრობელობის ნანგრევების ქვეშ: პროვოკაცია, ღალატი, დაზვერვა.

დრამა 5 ნაწ. მონაწილეობით ვ. პავლოვისა და მ. რუტცის.

ყველაფერში ქალია დამნაშავე. სახუმარო.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

აგვისტოს 17 ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

ინგლისის ფრონტი საფრანგეთში

სანახაობა და **გონება კი-არა ვნება განაგებს ქვეყანას** დრამა 4 ნაწილად.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ტიტე მარგველაშვილის წიგნი

ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი

ფასი ერთი მან. მთავარი საწყობი წიგნის მაღაზიაში: „მთავრიშვილი და ამხ.“

საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კოლეგიის ხელმძღვანელობით,
ქალაქ ქუთაისში გახსნილია საღამოის საყოველთაო მოსამზადებელი

კურსები,

მოწაფეთათვის უფლებებით აღჭურვილი, სადაც მიიღება ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა სიმწიფის და სხვა მოწმობებზე მოსამზადებლად.
მისამართი: ქ. ქ. ქართული გიმნაზია 6 საათიდან 8 საათამდის საღამოს.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)
ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

ეროვნული თავდაცვა.

ეროვნული თავდაცვა დღეს უდიდესი და უმთავრესი კითხვაა.

ქართველ ხალხს დასჭირდა თავის ფიზიკურ თვითარსებობისთვის აქტიური მოქმედება-მზრუნველობა.

აწინდელი დრო დაუნდობელია. მისი ხასიათი-სახე საათობით იცვლება. ყოველდღე ახალ-ახალ გამოუცნობ—რთულ ამოცანების წინაშე გვაყენებს იგი. საფრთხეს ელის მპყრობელი ერი რუსეთისა. შიშობენ, მოუსვენრათ არიან არა მპყრობელი ერები. ეროვნულ თავდაცვას ძალთა შეკრება და ორგანიზაცია უკრაინას, ფინეთს, ლიტოვეთს, ესტონეთს, მაჰმადიანებს და სომხებს რევოლუციის დაწყებიდან დღიურ მოწესრიგების კითხვათ გადაექცათ.

თუ დადგა მომენტი მრისხანებისა და განწირვისა, მაშინ ყველა ერი დაიცავს თავის ეროვნულ სახეობას და სხეულს.

ქართველები ჩამოვრჩით ამ მიუცილებელ პროცესს. ჩვენდა ღრმა სამწუხაროდ საქართველოში ჯერ პრინციპიალათ გადაუწყვეტელია კითხვა, საჭიროა თუ არა **ეროვნული თავდაცვა.** ქართველები განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. შესაძლოა ყველაზე მეტი სიმწარე ჩვენ მოგვადგეს. მოსალოდნელია, რომ ომის ქარცეცხლი პირდაპირ შეეხოს ჩვენს სამშობლოს და იგი საომო ასპარეზათ იქცეს.

მეზობელი სომხები ამისათვის უკვე ემზადებიან. სომხური ბატალიონები განმზადილია სომხის ხალხის თავდაცვისთვის.

ჩვენი ხალხის ინტერესი გვიბრძანებს, რომ დაუხანებლივ რეალი ზომათა მიღებას შეუდგეთ. გამოვარკვიოთ მოსალოდნელობა. ერის განკითხვის დღეებში განცალკევებულათ ყოფნა სიკვდილს გვიქადის.

ხსენებულ ეროვნულ დიდმნიშვნელობის საჭიროების კითხვაზე სასწრაფოთ უნდა შეთანხმდენ ყველა ქართულ პოლიტიკური პარტიები და საერთო დადგენილება გამოიტანონ. მას საჩქაროთ უნდა მოყვეს პრაქტიკული საქმე, რეალი ნაბიჯები, ეროვნულ თავდაცვის საჭიროება ყველამ შევიგნოთ! **ირ-დი.**

გაკვრით.

ჰაერი დამძიმდა. რუსეთის პოლიტიკურ ცაზე შავი ღრუბლები წამოიშალენ და დანამდვილებით ვერავინ იტყვის: რა მოელის რუსეთის სახელმწიფოს, სრული აღდგენა ძველი წესწყობილებისა თუ —კუდ-შეკვეცილი „თავისუფლებანი“. ყოველ შემთხვევაში, წავიდა სიმღერისა და ოცნების ხანა. დღეს თითოეულ კონებულსა და დაკვირვებულ მოქალაქეს ვეღარავინ მოატყუებს მაღალ ფარდოვანი სიტყვებითა და აუსრულებელ დაპირებებით. დღეს თითოეული ჩვენთაგანი მოვალეა გადასინჯოს თავისი პოლიტიკური მრწამსი' ასწონ-დასწონოს მისი ღირებულება, შეადაროს მრწამსი იგი სხვათა. „სიმბოლოს სარწმუნოებისას“ და შეერთებულის ძალით გამონახოს ისეთი გზა, რომელი გზაც მიგვიყვანს აღთქმულ ქვეყნამდე.

ახალი ამბავი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რუსეთი უცნაურობის ქვეყანაა და ეს უცნაურობა ჩამარხულია რუსეთის **ხელმწიფე ერის** ისტორიასა და და ამ ერის სულისკვეთებაში!

და კიდევ ბევრი დრო გაივლის, ვიდრე რუსის ხელმწიფე ერი შეიგნებდეს იმ საანბანო ჭეშმარიტებას, რომ ყველას სიცოცხლე სწყურია და მხოლოდ სხვის უფლებათა დაცვით შეიძლება თავის მეობის ზნეობრივათა და გონებრივ ამაღლება...

რუსეთის ცნობილი მწერლის მაქსიმე გორკის აზრით ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ სლავიანთა ფაქიზ სულს ჩაეგრიხა ველურ-მონგოლთა სული და წარმოიშვა ისეთი კვეთება ამ ორმაგი სულისა, რომ კაცი ვეღარ გაარჩევს, სად იწყება ამაყი ძგერა ევროპიელის გულისა და სად თავდება გრძნობანი უხეშ აზიელისა!

თუ ევროპის აზროვნების მეოხებით რუსეთში წარმოიშვა საკაცობრიო იდეალები—აზიურმა გულის თქმამ რუსეთისამ მოგვცა ისეთი „მოღვაწენიც“ რომელთაც—რუსეთის გარეშე ქვეყნის არსებობა ვერ წარმოუდგენიათ და მხოლოდ ჭეშმარიტ რუსთა ხელმწიფებაში ხედვენ რუსეთის იმპერიის სიდიადე-განმტკიცებას...

რუსეთის იმპერია კი მარტო რუსებისა არ არის, იგი ეკუთვნის სხვა ერებსაც, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ მოჰქცევიან ამ სახელმწიფოს ფარგლებში და რომლის ძლევა-მოსილებაც, ძლევა-მოსილება უნდა იყოს ამ სახელმწიფოს შემადგენელ თითოეული ერსაც, თითოეული სალხისაც, უამისოდ ვერ შეიქმნება ის დიდებული ჰარმონია, ის დიდებული „მეუფება ძმობა ერთობისა“ რომელსაც გვიქადაგებენ უკეთესი შვილნი, უკეთესი მებრძოლნი და რომლისკენაც მოგვიწოდებენ სამართლიანობა და ერთ-სულოვნება სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში!......

— **შენც იცოცხლე და მეც მაცოცხლე!** აი ის ფუძე, აი ის საძირკველი, ის ქვა-კუთხედი, რომელზედაც უნდა დამყარდეს ძლიერი და მტკიცე შენობა ერთა ურთიერთობისა, ხალხთა კეთილ დღეობისა; წინააღმდეგ შემთხვევაში ვერავითარი დაპირებანი სახელმწიფოს მართველთა, თუ ამ მმართველთა და ერის შუაკაცების, შუამდგომლობას, პოლიტიკურ პარტიათა, ვერავის გულს ვერ უპოვნის და ოცნების კოშკი მათი ისევე დაინგრევა, როგორც დაინგრა გოდოლი ბაბილონისა!...

ვისურვოთ, რომ ეს საანბანო ჭეშმარიტება დღეს მაინც შეგვეგნოს და შეერთებულის ძალით აღგვედგინოს ფეხით გათელილი უფლებანი რუსეთში მცხოვრებ ყველა ერისა და მით შეგვექმნას ის უშრეტი და უდრეკი ძალა, რომელიც ერთად ერთი თავდებობა უკეთესისა და ხმა შეწყობილად მომქმეთ მომავალი თავისუფალისა და თანასწორობის ცხოვრებისა!...

გამოსვლანი ბბ. კერენსკებისა, მილიუკოვებისა და ძმათა მათთა დამორჩილება ერთის ერისა მეორისაგან და ჯიუტობა ამა თუ იმ პარტიისა—**ჩემი სჯობსო**—სასოებას დაუხშობს ყველას და შეჰქმნის ერთა იმ არევ-დარევას, რომელმაც ჯერ ისევ უხსოვარ დროს დაამხო დიადი სურვილი ხალხთა: სურვილი ღმერთთან გამოლაპარაკების.

— რა არის ღმერთი?

— სიყვარული და თავისუფლება, ხოლო ვინც გმობს სიყვარულს და ფრთას აკვეცს სხვის თავისუფლებას,—იგი თვითვე იმზადებს თავის სამარეს...

ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინოს!...

ია ეკალაძე.

ცხოვრების გაძნელება.

ცხოვრების გაძვირება უმწვერვალეს საფეხურამდე მივიდა. არ იშოვება პირველ აუცილებელ საჭიროების საგნები. პური, შაქარი, მარილი და ნავთი თანდათან ისპობა. რუსეთის დიდ ქალაქებში სანოვაგის გულისთვის ექსცესები ხდება. ივლისის 19 კიევში გამწარებულმა ბრბომ დაამტვრია პურის საცხობები და სავაჭროები. „სავაჭრო სამრეწველოს“ გაზეთის ცნობით რუსეთში პური საკმაოა, მაგრამ უგზოობისა და გადაზიდვა გადმოზიდვის საქმის უვარგისობის გამო ხალხისთვის მიუწდომელათ რჩება. რუსეთის რამდენიმე ქალაქი უკვე ქრონიკულ შიმშილს განიცდის. საქონლის კრიზისი სხვა დარგშიც გამძინვარდა. სავაჭროებში გაქრა მანუფაქტურა, ტყავი და დამზადებული ფეხსაცმელები. მიზეზი ამისა ის არის, რომ სახელმწიფოში დაეცა საკუთარი წარმოება. შრომის და კაპიტალის შორის აღმოცენებულმა უთანხმოებამ დაამხო რუსეთის მრეწველობა. ომის გამო გარედან შემოზიდვა არ ხერხდება. სახელმწიფო განსაცდელშია. რევოლუციას ცხოვრების გაძვირება გაუარესება დიდ საფრთხეს უმზადებს.

საქართველოშიც უსაზღვროთ იზრდება ცხოვრების გაძვირება. ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. მშრალი დამუშავებული საქონელი გარედან შემოდიოდა. დღეს ეს შემოტანა ძალზე შემცირდა, ხვალ შეიძლება სრულიათ შესწყდეს. ქუთაისში კარგა ხანია არ იშოვება სამანუფაქტურო საქონელი და ტყავეულობა. მონოპოლიის გამოცხადება საქმეს ვერ შველის. ცხადია ჩვენი ყოფა უფრო კრიტიკული შეიქნება. ის პირი რომელიც თვეში 100 მანეთს იღებს, ხოლო 150 მანეთად მარტო ფეხსაცმელს ვერ შოულობს, იძულებული იქნება ან ცხოვრება უარყოს და ან გაღიზიანებულთა წრეში ჩადგეს. რუსეთში უკვე იყო ამის მაგალითი.

სოფლიდან ჩამოსულები გვეუბნებიან, რომ ხალხი საგონებელში ჩავარდა. წარმოუდგენელ სიძვირეს რომ თავი დავანებოთ, მიუცილებელ მოთხოვნილების საქონელი აბსოლუტურათ ისპობა. სოფლებში ხალხის ღარიბი ნაწილი ფეხშიშველაა და შიმშილს განიცდის. ეს მოვლენა საერთო უბედურებას გვიმზადებს, თუ სასწრაფო რადიკალი ზომების მიღებას არ შეუდექით. საჭიროა ამ უმთავრეს კითხვის შესახებ გაიმართოს საერთო ბჭობა, რომელსაც უნდა დაესწრენ სხვა და სხვა მცოდნე პირები. ეს მეტად საშური კითხვაა და მისი დაყოვნება დამღუპველი იქნება. **ვ.**

პრესა.

„სახალ. საქმე“ სხვა გაზეთებთან ერთად არავითარ შემოქმედებით მნიშვნელობას არა აძლევს მოსკოვის თათბირის მუშაობას.

მოსკოვის თათბირი ჩვენზე მიტინგის ხასიათს ახდენს, სადაც გადაჭარბებულ გრძნობით ხან სტირიან და ხან იღიმებიან. მოსკოვის უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ გრძნობის ტალღებმა რუსეთის უბედურება დაივიწყეს და სურვილებით და პროგრამებით აშუქებენ საქმეს და არა რუსეთის რეალურ ძალთა განწყობილების მიხედვით.

რამდენიმე დღეში მიწყნარდება მოსკოვის ამბავი და მთავრობის ხელში დარჩება რემინგტონით დაბეჭდილი რამდენიმე დეკლარაცია, რასაც იოტის ოდენი მნიშვნელობა არ ექნება არც ომისთვის და არც მანეთის კურსისათვის.

რუსეთის უბედურებაც სწორედ ამაშია. რუსეთს აღარ შეუძლია რუსეთი ვერიცნობს, ან რუსეთს არა ჰყავს თავგანწირული საზოგადოების არც ერთი ჯგუფი.

სადაც რუსეთის სახელმწიფოებრივ გემის მესაჭენი ხსნას ელიან, სწორედ იქ ჰპოვებენ ახალ და ძლიერ საფრთხეს. მოსკოვის თათბირის ერთსულოვან ხმას რუსეთი დამფუძნებელ კრებამდე უნდა მიეყვანა, მაგრამ

მოსკოვის თათბირმა საბოლოოდ დაუსვა რუსეთის მომავალს დიდი კითხვითი ნიშანი. მაგრამ თუ ასე ადვილად მოეპყრობა რუსეთს რუსი, განა ასევე გულუბრყვილო გატაცებით დაკმაყოფილდება რუსეთის არა რუსი? არარუსებს ფაქტიურად არ შეუძლიან რუსეთის აღმშენებლითი პოლიტიკის წარმოება, არა-რუსები ამის მხოლოდ მასალას იძლევიან. ცენტრის სადავე ველიკოროსთა ხელთ არის, რომელიც ვერ გამოთხოვებია ისტორიულად შეჩვეულ იმპერიალიზმს. რუსეთის შეცდომებს ხედავენ რუსეთის სხვა ერები და მათ სურვილიც აქვთ და თავგანწირულებაც არსებობისათვის. რუსეთმა ვერ შეჰქმნა პირობები ყოველ ძალის მოსაკრებათ. მოსკოვის თათბირი ყველაზე უფრო ხელს შეუწყობს, რომ რუსეთში გაძლიერდეს პერიფერიების გამაძლიერებელი ფაქტორები, რომელიც სულ ნაკლებ დამოკიდებულებას დაიჭერს გრძნობებით დამთვრალ რუსეთის ცენტრებთან.

⁂

„ალიონი“ ყურადღებას აქცევს მოსკოვის თათბირის მნიშვნელობას რუსეთის ჩაგრულ ერთათვის.

მოსკოვის თათბირი ვერც რუსეთის დაჩაგრულ ერებში გამოიწვევს განსაკუთრებულ სიყვარულს და ნდობას. მთავრობის თამჯდომარის ბ. კერენსკის სიტყვა ფინლანდიასა და უკრაინაზე საკმაოა ვთქვათ, რომ დრ. მთავრობა ვერ სწავლობს პოლიტიკური ცხოვრების გაკვეთილებს, მას ავიწყდება ელემენტარული მოთხოვნილება რევოლუც. სინამდვილის, ცდილობს ფეხქვეშ გათელოს ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და თავისუფლება დიდი მპყრობელი ერის იმპერიალისტური ბურჟუაზიის სასიხარულოთ და საკეთილდღე-

ოთ. ბ. კერენსკი ყველაზე უფრო სასახელო ბურჟუაზიულ მისიას სწორეთ ეროვნულ საკითხში ასრულებს. ის ჩაგვრის პოლიტიკას ანხორციელებს რევოლუციის სახელით. მაგრამ ტყუილია. რევოლუცია არ მოითხოვს ფინლიანდიის, უკრაინის და სხვა ერთა ჩაგვრას. დრ. მთავრობა თავის ეროვნული მჩაგვრელი პოლიტიკით შეურაცხყოფს რევოლუციის სახელს. მოსალოდნელია რომ მოსკოვის თათბირი მოიწონებს მთავრობის ანტიფინლიანდიურ და ანტიუკრაინულ პოლიტიკას.

ანტი ეროვნული პოლიტიკა, გაზეთის სიტყვით, საბოლოოდ გამოსთიშავს დემოკრატიას და ოპოზიციაში ჩაუყენებს მთავრობას.

„ედინსტვო-“ში პლეხანოვი სწერს:

„კერენსკიმ მიმართა პოლიტიკურ პოეზიას იქ, სადაც ეკონომიური პროზა უნდა დაეწყო“.

“რუსკაია ვოლია“-ს თათბირის არაფერი სწამს:

„მოსკოვის თათბირი მოუცავს თავიდან ბოლომდის ურთიერთადმიუნდობლობას და სრულ იდეურ და პრაქტიკულ გათიშვას რუსეთის ცხოვრების მთავარ მიმდინარეობათა, რომლებიც მექანიკურად შეაკოწიწა მთავრობამ„

„დელო ნაროდა“ შეთანხმებას შეუძლებლად სცნობს, რადგანაც.

„ბურჟუაზია მოითხოვს: ჯარში დისციპლინის აღდგენას, მსხვერპლს მუშებისაგან, დემოკრატიის უფლებების შეზღუდვას, დემოკრატიას კი მთავრობას აშორებს“.

„დენ· საბჭ. უწყებაში“ ასე ახასიათებს თათბირის მუშაობას:

„ყველა გაიძახის“ სამშობლო საფრთხეშიაო“, მაგრამ ყველა სამოქალაქო ომისკენ მიიწევს“,

„დენი“ მოთათბირეთა გულცივობას ხაზს უსვამს:

„რევოლ. მთავრობამ და რევოლ. დემოკრატიამ გაბედულად აჩვენა თათბირს რუსეთის ღლევა, მაგრამ ამ საშიშროების წინაშე როგორც შეძლებული წრეები ისე დემოკრატია სდუმდა“.

მოსკოვის სახელმწ. თათბირი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

მესამე სხდომა.

მოსკოვი. აგვისტოს 15. **გენ. ალექსეევი** (განაგრძობს)

აი მიტინგებზე გაქრა სადი სული რუსეთის მხედრობისა. ალექსეევი ამტკიცებს, რომ ჯარის კომიტეტებმა ხელ ფეხი შეუკრეს ჯარის ხელმძღვანელებს. ჯარის კომანდირებს დატოვებულნი აქვთ მხოლოდ კოოპერატიული მოვალეობანი. უნდა მოვაგონოთ ჯარს თავისი მოვალეობა, ამიტომ საჭიროა დროებითი მთავრობის სწრაფი ზომები, რომელიც მოასულიერებს ავადმყოფ სხეულს.

ფლოტის წარმომადგენელ კალისტოვის სიტყვა.

ფლოტის წარმომადგენელმა კალისტოვმა სიმწუხრით აღნიშნა, რომ თათბირზე ფლოტის შესახებ არა უთქვამთ რა. მან განაცხადა რუსეთის ფლოტი არ გაუქმებულა, რომ იგი აკეთებს, რის გაკეთებაც შეუძლიან. ძნელია საერთოდ მუშაობა ზღვაში. და ახლა მთლად გაძნელდა. მოსკოვში ჩამოვედით იმიტომ რომ ფლოტის უმთავრესი ავადმყოფობა მოვარჩინოთ. კალისტოვს ფლოტის უმთავრეს ავადმყოფობად აფიცრების დამცირებული და თითქმის უუფლებო მდგომარეობა მიაჩნია. ამაში იგი მეზღვაურებს კი არა სდებდა ბრალს, არამედ იმათ ვინც ამ უკანასკნელ დღეებამდე ისე უყურებდა ოფიცრობას, როგორც აუცილებელ ბოროტებას. მეორე ავადმყოფობა ეს მუშაობის გულისყურის დაკარგვაა როგორც მეზღვაურებისაგან, ისე ნავთსადგურებზე მომუშავეთაგან.

აფიცერთა წარმომადგენელთა სიტყვა.

აფიცერთა სახელით რუსსკი აღიარებს, რომ აფიცრობის და საზოგადოების დემოკრატიულ ნაწილებს შუა აზრთა წინააღმდეგობა არ არისო და გულის ტკივილით აღნიშნავს იმ გაუგებრობას, რომელიც გამოსჭვივის რევოლუციის დახსნის საქმეში. უნდა გავფანტოთ გაუგებრობა და უნდა აღვნიშნოთ, რომ სამშობლოს ხსნა იმავე დროს რევოლუციის ხსნა არის. პირველი მიზანი გარეშე მტრის დამარცხებაა, მეორე—ეკონომიურ და სასურსათო კრიზისის თავიდან აცილება, მესამე—დამფუძნებელი კრების მოწვევა და მიწის მშრომელ ხალხისთვის გადაცემა. დასასრულს რუსევი რამოდენიმე შეცდომების გასწორებას მოითხოვს და ხაზს უსვამს წერეთლის სიტყვას იმ ნაწილს, სადაც ომის და სამხედრო ბეგარის საკითხებზეა ლაპარაკი, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროა სამშობლოს სახსნელად ძლიერ და უდრეკელ მთავრობის გარშემო შემოკრება. (ტაში).

ჯარის-კაცთა კომიტეტების წარმომადგენელთა სიტყვა.

კუჩინი ადასტურებს, რომ ჯარში თავიდანვე ადგილი ჰქონდა ერთი-ერთმანეთის უნდობლობას და ღელვას. შუღლის ჯარის-კაცებსა და ოფიცერთ შორის რევოლუციამდენაც ჰქონდა ადგილი. რევოლუციის წინა დღეების რეპრესიებმა ჯარისკაცები მთლად ააღელვა და როდესაც რევოლუცია მოხდა ჯარმა მონაწილეობა მიიღო. ეს ყველას მიერ აღიარებულია და მტკიცება იმის, რომ ჯარში ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკას. იგი ზედმეტია. თვითონ როძიანკო მიესალმა ჯარს, როგორც რევოლუციის იდეის მატარებელს. კომიტეტები გამოცხადდნენ სტიქიურ მოვლენად მაშინ, როდესაც ძველი წესწყობილება ინგრეოდა და ახალი კი ჯერ არ იყოო. შეეხო რა ჯარის გამოფხიზლების საკითხს, კუჩინი ამტკიცებს, რომ შეიძლება მოხდეს შეთანხმება ფრონტის კომიტეტებსა და ჯარის კომანდირების შუა, რომ განსაზღვრული წრე არ შლიდეს საქმეს. კომისარების ინსტიტუტს კუჩინი იცავს, როგორც რევოლუციონურ მთავრობის პოლიტიკის გამტარებელს, წინააღმდეგია ლაშქრის ორგანიზაციების მოსპობის და მოითხოვს მთავრობის რევოლუციონურ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას მიწის თუ სხვა ხალხის ცხოვრების დარგიდან.

კუროპატკინი ამტკიცებს, რომ გალაშქრება სალაშქრო ორგანიზაციების წინააღმდეგ უნაყოფოა. ოფიცრობამ, რომელმაც დაამტკიცა თუ როგორ უნდა სიკვდილი, უნდა გვაჩვენოს თუ როგორ უნდა ცხოვრება და თავის შრომით და გამჭრიახობით ჯარის-კაცზე უნდა აიმაღლოს თავისი ავტორიტეტები.

ფლოტის წარმომადგენელის სიტყვა.

აბრამოვი აღიარებს, რომ ფლოტი უერთდება ჩხეიძის მიერ წაკითხულ დეკლარაციას და ამტკიცებს რომ ფლოტის და ჯარის განახლების საქმე შეუძლებელია სრულდებოდეს ჯარის და ფლოტის ორგანიზაციების გარეშე.

ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას სიტყვა.

კათედრაზე ადის ხელ-ახლად ბრეშკო-ბრეშკოვსკაია. ისმის ხანგრძლივი ტაში. უმართავენ ოვაციებს „მადლობელი ვარ პატივისთვის—იწყებს ბრეშკოვსკაია, მე ვრწმუნდები რომ ეს დიდი ყრილობა მთელი რუსეთის ანკეტაა. შეიძლება ითქვას, რომ ხალხმა სახელმწიფოს მცხოვრებლებმა პოლიტიკური გამოცდა დაიჭირეს. მიუხედავად გაუგებრობისა, შეიძლება ითქვას რომ აზრთა სხვა-და-სხვაობა არ ისმის წარმოთქმულ სიტყვებში. ყველა გულ-ახდილად აღიარებს, რომ არსებობს სამშობლო და რომ სამშობლო ღირსია დაცვის. დაუყონებლივ ყრილობის დახურვის შემდეგ უნდა განახორციელდეს აქ აღნიშნული. ჯარის უბედურება ფრონტზე კი არ არის, არამედ აქ ზურგში, რომელიც თანდათან იშლება. დაუყონებლივ უნდა მოვაწყოთ ფრონტი და ზურგი. მშრომელმა ხალხმა და ყველამ მხოლოდ ჯარისთვის და რუსეთისთვის უნდა იშრომოს. ყველა გამოდით სამშობლოს სახსნელად. აუცილებელია ხალხის განათლება. შინაური მტრები —კაპიტალისტები—წვრილი თუ მსხვილი ვაჭრები არიან. მთავრობამ მათ უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება. ვსთხოვ მთავრობას გაფანტოს სახალხო წყვდიადი, რომელსაც კონტრ-რევოლუციას ეძახიან. (ტაში).

(გაგრძელება იქნება.)

— —

მეორე სხდომის ანგარიშის გაგრძელება.

მოსკოვი. აგვისტოს 15.

სიტყვა გლეხთა წარმომადგენელთაგან

კარკუშინი და კონდრატიევი, გლეხთა ცენტრალ კომიტეტისა და პონამარიოვი სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოს სახელით ემხრობიან საბჭოთა დეკლარაციას და თუმცა ჩვენი ლოზუნგი „მიწა და თავისუფლებაა“-ო, ვაღიარებთ მის შესრულება დამფუძნებელს კრებაზე. რუსეთისთვის საჭიროა მინინი, რომელმაც უნდა იხსნას თავისუფალი რუსეთი და არა რომანოვების სამეფო გვარიო.

დეკლარაცია აკადემიის ჯგუფისა

პროფესორი გრიმმი აქვეყნებს დეკლარაციას აკადემიის ჯგუფისას, რომ საჭიროა მკაცრი მთავრობა, მიწვევა მთავრობის შემადგენლობაში მეცნიერებათა წარმომადგენლებისა, დაცვა მთელ რიგ-საკულტურო ზომათა.

დამფუძნებელ კავშირის წარმომადგენელთა სიტყვა

წარმომადგენელი დამფუძნებელი კავშირისა ზოლოტარიოვი საჭიროდ აღიარებს ხალხის ფართო განათლებას, როგორც წინდსა თავისუფლების წარმატებისა და აყვავებისას,

ქალთა თანასწორობის ლიგის წევრის სიტყვა

ქალთა თანასწორობის ლიგის წევრი შიშკინი ამტკიცებს აგრეთვე, რომ საჭიროა მტკიცე მთავრობა, ქალთა შრომის ბეგარა და დედების სახელით, რომელთათვის ყველაზე უფრო საჭიროა ზავი და მშვიდობა. აცხადებს, რომ ისინი მზად არიან ყოველი მსხვერპლისთვის, ოღონდ ზავი საპატიო იყოსო.

თათბირის დახურვა სალამომდის

კერენსკი აცხადებს, რომ თათბირი იხურება სალამომდის. დღის თათბირის ბოლოს მოვიდა გარეშე საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო.

გუჩკოვის სიტყვა

სხდომის განახლების შემდეგ სიტყვა ეძლევა მესამე სათათბიროს თავმჯდომარეს გუჩკოვს. აღნიშნავს, რომ ექვსი თვის წინად ძველი მთავრობის დაშლის პროცესზე მოხდა სახელმწიფო ამბოხება. მკაფიოდ ასურათებს რევოლუციის მსვლელობას პირველ სახელმწიფო ცვლილების პირველ თვეებში. აღნიშნავს იმ იმედებს, რომელიც ხალხს აღფრთოვანებდა და ამბობს რომ იმედები ფეხით გაითელენ და რწმენა შებღალესო. ამიტომ გასაგებია ის ავადმყოფური, ის ისტერიკული მოწოდება, რომელითაც დროებითმა მთავრობამ ხალხს მიჰმართა. ომის საკითხის შესახებ გუჩკოვი ამბობს: ჩვენ წინანდელზე უფრო ცუდათ ვიბრძვით და ამით ვაგებთ. სხვა და სხვა დარგებში კრიზისი თანდათან მწვავდება. ჯარის გამოკვება ფერხდება და დიდი ხალხოსნური უბედურება გველის. ფინანსიური კრახი უკვე მომხდარია. თვითმართველობათა ორგანოები გაკოტრებულნი არიან. საზოგადო ატმოსფერაში შიში და უკმაყოფილობა დაიბადა. მთავრობა იმით არის სუსტი, რომ იგი არ არის დღევანდელი მთავრობა. აჩრდილია მთავრობა (ტაში). ხელმძღვანელმა წრეებმა არ იკისრეს რევოლუციის ხელმძღვანელობა, მხოლოდ შეუერდენ დემოკრატიას და ამითი გამორიცხეს კულტურული ელემენტები. დანარჩენი დემოკრატიულ დესპოტურ აპკას უწევდა ოფიციალურ მთავრობას. ძალა ეკუთვნით უპასუხისმგებლოებს და ამიტომ პასუხისმგებლობა აწევთ მათ ვისაც ძალა არ აქვთ. ამაშია მიზეზი სისუსტის და უიმედობა ძლიერი მთავრობის შექმნისა. გუჩკოვს ლაპარაკის ვადა გაუდის და კერენსკი სიტყვის შეწყვეტას სთხოვს. გუჩკოვი ემორჩილება. მარჯვენა მხარედან ისმის ხმები „ჩხეიძე რატომ ალაპარაკეთ დიდ ხანს“. ყარაულოვი ლოჟიდან უყვირის: იმიტომ რომ ჩხეიძე როგორც სათათბიროს წევრი არ ლაპარაკობდა.

შულგინის სიტყვა.

დიდი სიტყვით გამოდის შულგინი. ამბობს რომ ცდა რევოლუციის დაცვის და კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლა უნაყოფოა, ვინაიდან შიში ამის შესახებ არ არის. მთავრობა სამ საკითხშია დამნაშავე—სიკვდილით დასჯის შემოღებაში, განუსაზღვრელ უფლების მითვისებაში და ლოღიკურ მსჯელობის უქონლობაში. შულგინი თავის სიტყვას უკრაინელებზე ათავებს, რომელთაც ველიკორუსები ძლიერ სძულთ. შულგინის გამოსვლა, როგორც უკრაინელების წარმომადგენელი ხმაურობას იწვევს. ისმის ხმები „ვინ დაავალა“ შულგინი აცხადებს, რომ 25000 უკრაინელმა მას წერილით დაავალა. ის აცხადებს, უკრაინის მცხოვრებლებს სურთ მჭიდრო კავშირი იქონიონ მოსკოვთან. (მხურვალე ტაში).

მაკლაკოვის სიტყვა

დეპუტატი მაკლაკოვი ამბობს: მე მომხრე ვარ ერთობისა და წინაღმდეგი საპარტიო ბრძოლისა· თუ მთავრობის სიტყვა — „მიყვანილ იქმნას ომი საპატიო ზავამდე“ —მართალია, შეიძლება შევთანხმდეთ ამ ნიადაგზე. მაგრამ მას არა სწამს, რომ მთავრობას შეუძლიან ამის შესრულება. ახსნა ადვილია, როცა მთავრობის შემადგენლობაში არიან გუშინდელი დამარცხებულნი (ხმაურობა მარცხნიდან, ძახილი „კმარა“, მარჯვნიდან ცხარე ტაში, ძახილი: „ძირს ჩერნოვი“ და „გაუმარჯოს გლეხის მინისტრს“, ტაში. კერენსკი მოუწოდებს-დამშვიდდნენ). მაკლაკოვი კვლავ განაგრძობს დამარცხებულებზე მთავრობის შემადგენლობაში. მარცხნიდამ კვლავ ხმაურობა კერენსკი სთხოვს მაკლაკოვს — ბოროტად ნუ ხმარობ სიტყვის თავისუფლებასაო. მაკლაკოვი აცხადებს, რომ უმართებულოდ სთვლის ედავოს თავმჯდომარეს (ტაში) და თხოულობს ხელს ნუ მიშლით ნურც სკამებიდამ და ნურც სათავმჯდომარო სავარძლიდანაო. თუ არ აღადგენთ დისციპლინას ჯარში, სასაცილოა საპატიო ზავზე ლაპარაკიო. ჯარის დისციპლინის აღდგენა შეუძლებელია ყვირილით. ჯარში უნდა იყოს ერთი ხელისუფლება, რომელსაც შეეძლოს წაიყვანოს ჯარი ბრძოლაში. ზოგიერთებს ეგონა, რომ ციმერვალდი მოგვცემდა ზავს უომრად. ჩვენს წინაშე სდგანს დილემა: ჯარმა ამ პოლიტიკაზე უნდა იმსჯელოს, ან დაემორჩილოს სარდლებს, სხვა გზა არ არის, ნახევარ ნაბიჯიანობა არაფერს გვიშველის. მთავრობამ ჯარი ჯარად უნდა აქციოს. მაგრამ მთავრობას ვერ გაუბედნია პოლიტიკურ პარტიათა წინააღმდეგ წასვლა. მაკლაკოვის აზრით, საქმეთა რღვევა გაგრძელდება და მოხდება კონტრ-რევოლუცია, თუ სახეში არ მივიღებთ ისტორიის ნებას. რუსეთი იღუპება სამთავრობო ინსტიტუტთა სიმრავლისაგან (ტაში). არავითარი ძალისხმევა არ გვიშველის, საჭიროა ქვეყანა დარწმუნდეს, რომ მთავრობას შესწევს უნარი წაგვიყვანოს გამარჯვებისაკენ. მთავრობა უნდა დაემყაროს პარტიათა რეზოლიუციებს, რომელნიც იცავენ ქვეყანას ფრონტზე. თათბირის ნაწილი ოვაცის უმართავს მაკლაკოვს.

წერეთლის სიტყვა.

წერეთელი ამბობს დიდ სიტყვას. უპასუხებს რა მაკლაკოვს, წერეთელი ლაპარაკობს იმ საორგანიზაციო როლზე, რომლებიც აქვს დემოკრატიულ ორგანიზაციებს და აღიარებს მათს აუცილებლობას და არსებობას, როგორც ერთად ერთ დასაყრდნობზე მთავრობისათვის. ბოლოს ამბობს: ,,მოცემული დრო თავდება‘‘. (ტაში დარბაზის უმეტესობისგან).

როძიანკოს სიტყვა.

როძიანკოს გამოსვლას· უხვდებიან ტაშით. იგი მოუთხრობს რევოლუციის ისტორიას, ჩერდება მთავრობის დეკლარაციაზე, ლაპარაკობს სამშობლოს საშინელ მდგომარეობაზე და განმარტავს თავის დამოკიდებულობას რევოლუციასთან. ჰკიცხავს მთავრობას — სუსტი და გაუბედავიაო. ვადის გათავების გამო როძიანკო ამოკლებს სიტყვას და ჰსურს გამოამჟღავნოს მე-4 სათათბიროს რეზოლუცია, მაგრამ ვერ ასწრობს გათავებას. კერენსკი თუმცა სთხოვს გაათავოს, მაგრამ როძიანკო არ თანხმდება, კანონი უნდა შესრულდესო. (ხმაურობა, ტაში).

მილიუკოვის სიტყვა.

მილიუკოვი უპასუხებს რა წერეთელს, ჩამოსთვლის უმთავრეს შეცდომებს, რომელნიც დაუშვეს რევოლუციურმა ორგანოებმა და ამტკიცებს თავისი პარტიის პოზიციის სიმართლეს, რომელსაც გულწრფელად უნდოდა მხარი დაეჭირა სარევოლუციო მთავრობისათვისაო. უმთავრესი წყარო რევოლუციის გამარჯვებისა იყო სახელმწიფო სათათბირო და არა მოწყობილი გამარჯვება მემარცხენეთა უკიდურეს მიმდინარეობათაო. მილიუკოვს პასუხს ეუბნება წერეთელი, რომელსაც დაუთმეს სიტყვა სხვებმა.

ნახევარ საათით თათბირის შეწყვეტის შემდეგ, სიტყვებს ამბობენ წარმომადგენელნი ადვოკატურისა, მშრომელი ინტელიგენციისა, დასახიჩრებულ ჯარის-კაცებისა, გიორგის კავალრებისა, ფოსტა ტელეგრაფის უწყებისა, საქალაქო თვითმართველობათა, მოსკოვის ქალაქის თავი რუდნევი, პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე ისაევი, მოსკოვის ეკს-თავი ასტაროვი. ღამის 1 საათზე კერენსკი აცხადებს, რომ კრება იხურება დილამდის.

რევოლუციის ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. დ. ს.

დეპეში.

სუხომლინოვის გასამართლება

პეტროგრადი. აგვისტოს 16. სხდომა იხსნება გენერალ მიხელსონის ჩვენებით, რომელიც სამხედრო აგენტად მსახურებდა გერმანეთში 1906—1911 წ. წ. გენერალი ატყობინებდა სამხედრო სამინისტროს გერმანეთის სამხედრო სამზადისს და ტეხნიკურ მდგომარეობას გერმანეთის ჯარისას. სამხედრო სამინისტრომ იცოდა, რომ გერმანეთს აზრადა ჰქონდა ომის გამოცხადება კიდევ 1906 წ. შემდეგ 1913 წ. შეკითხვაზე—თუ რომელ სახელმწიფოსთან ერთად ,ლამობდა გერმანეთი რუსეთისთვის ომის გამოცხადებას, მოწმე მოითხოვს კარების დახურვას.

თავმჯდომარე კარებებს ხურავს,

სამხედრო მინისტრის თანაშემწის ჩვენება.

პეტროგრადი. აგვისტოს 15. სამხედრო მინისტრის ყოფილი თანაშემწე ბერნარდერი აჩვენებს: „ჩვენ არ ვემზადებოდით ომისთვის და არც შეგვეძლო მომზადება, რადგანაც ჩვენი მრეწველობა სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებოდა. როდესაც ფრონტიდან მოგვაყარეს ტელეგრამები, რომ ტყვია წამალი და იარაღი გვაკლიაო, სამხედრო უწყებამ წინადადება მისცა მექარხნეებს გვიშველეთო, მაგრამ იმათ მოგვთხოვეს იმ ხარჯების დაფარვა, რომელიც მათ ქარხნების სამისოდ მოწყობაზედ მოუვიდოდათ. დამყარდა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ არ შეგვეძლო სავსებით შეგვესრულებინა ფრონტის მოთხოვნილება. პროკურორის კითხვაზე, მოწმე აცხადებს, რომ სამხედრო უწყება არც ძალიან ენდობოდა ბანაკის მოთხოვნებს·

სერგეი მიხეილის ძის ჩვენება.

დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე ამბობს: „რუს-იაპონიის ომის შემდეგ ჩვენი უმთავრესი ზრუნვა იყო არტილერიის ახლად შეიარაღება და მოწყობა. ამ მიზნათ პროექტიც შევადგინე 1907 წელს, მაგრამ პროექტი პროექტად დარჩა და მხოლოდ 1913 წელს ეღირსა მას ყურადღება და მოძრაობა. გენერალმა სუხომლინოვმა მოგვისპო ბევრს უფლება პირადათ ხელმწიფისთვის მოგვეხსენებინა ხოლმე საქმის მდგომარეობა და მათ შორის მეცაო. სუხომლინოვის საქმე იყო. რომ მეფემ არჩია დერპტის ზარბაზნები, მაშინ როდესაც ყველა სპეციალებისაგან აღიარებულია შნეიდერის ზარბაზნების უკეთესობა. ვფიქრობ რომ სუხომლინოვმა სისწორით არ გააცნო მეფეს ჩემი მოხსენებაო“.

მინისტრ ტიმაშევიჩის ჩვენება.

უკანასკნელად ჰკითხავენ ვაჭრობის ყოფილ მინისტრს ტიმაშევს. იგი ამბობს: „რაც სამსახურში ვიყავი, 1908-დან 1915-მდე, სამხედრო უწყებას ერთხელაც არ მოუმართნია ჩემთვის, რომ ქარხნები დაგვეხმარეთო. ეგონათ, რომ თვით წარუძღვებიან საქმეს. ხოლო მაშინ, როცა დაიწყო ომი და საქმე გაჭირდა, მომმართა მე სუხომლინოვმა, რომ მრეწველნი მოიწვიეო. მე მოვიწვიე, სუხომლინოვი მოვიდა და წინადადება მისცა მრეწველთ შეასრულონ ვალი სამშობლოს წინაშე, მაგრამ მრეწველებმა დიდი თანხები მოსთხოვეს მას ქარხნების მოსაწყობად საჭიროებისამებრ. რით დაბოლოვდა საქმე არ ვიცი, დაამთავრა მოწმემ სიტყვა, რადგანაც სამხედრო უწყება ძველებურად საჭიროდ არ სთვლიდა მიეწვიათ ქვეყნის დაცვაში სათანამშრომლოდ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრიო“.

ფინეთში.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ფინეთის და რუსეთის სოციალ-დემოკრატების მოურიდებლობა.

ჰელსინგფორსი. აგვისტოს 15. სოციალ დემოკრატების სასეიმო ფრაქციამ უარყო ადგილობრივ რუს-დემოკრატების წინადადება, რომლითაც სახვალიოდ დანიშნულ სეიმის მოწვევის გადადებას მოითხოვდენ. გადაჭრით პასუხს ფრაქცია დღეს სალამოზე გადასცემს.

დეპუტატთა საბჭო სეიმის დაშლის წინააღმდეგია.

ჰელსინგფორსი. აგვისტოს 16 დღეს სეიმის მოქმედების განახლების გამო დეპუტატთა საბჭოს განსაკუთრებითმა კრებამ დაადგინა, რომ სეიმის დათხოვნა დემოკრატიის პრინციპებს არ შეეფერება. კრებამ შეუძლებლად სცნო სეიმის გარკვევაში სამხედრო ძალების ჩარევა.

სეიმის სხდომის მოლოდინში.

ჰელსინგფორსი. აგვისტოს 15. დღეისთვის სეიმის სხდომაა დანიშნული. ამის გამო სეიმის შენობა დილის 8 საათიდანვე ჯარმა და დეპუტატებმა დაიჭირეს. გარეშე პირებს სხდომაზე არ დაუშვებენ. ქალაქში სიწყნარეა. ჯარის-კაცთა აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით მეზღვაურებმა ხომალდები არ უნდა დასტოვონ.

დეპუტატთა საბჭოს სხდომა.

ჰელსინგფორსი. აგვისტოს 16. დეპუტატთა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე მეცხოვნეთა სეიმის საქმეში მონაწილეობა აუკრძალა. მათ მაგიერ ჰელსინგფორსში მოსული ჯარი მიიღებს მონაწილეობას. დადგენილია, რომ კონფლიქტების ასაცილებლათ აირჩიონ საგანგებო კომიტეტი, რომლის გარდაწყვეტილებას ორივე მხარე დაემორჩილება. კრების მარჯვენა ფრთა დაჟინებით მოითხოვდა დროებითი მთავრობის ბრძანების მთლად ასრულებას.

გუბერნატორის უარი სეიმის დახურვაზე.

ჰელსინგფორსი. აგვიტოს 16. გენერალ-გუბერნატორმა ნიულანდის გუბერნატორს სეიმის დახურვა დაავალა. ამის გამო გუბერნატორი თანამდებობიდან გადადგა.

უცხოეთი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო.

ბელგეთის სოციალისტების უარი.

ლონდონი. აგვისტოს 15. ბელგიელ სოციალისტებმა, გერმანელების ნებართვით მომხდარ მიტინგზე დაადგინეს, რომ სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობა არ მიიღონ.

რუსეთის მთავრობა და სტოკჰოლმის კონფერენცია.

სტოკჰოლმი. აგვისტოს 15. სოციალისტურ კონფერენცის საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ოფიციალი ცნობა რუსეთის დეპუტატთა საბჭოსაგან, რომ მთავრობას თავის დამოკიდებულება კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ არასოდეს არ შეუცვლიაო. ამასთან საბჭო აცნობებს, რომ კონფერენციას იგი მთავრობისთვის სავალდებულო ხასიათს არასოდეს არ მიაწერს.

სოციალისტური კონფერენცია ინგლისში.

ლონდონი. აგვისტოს 15. გედერსონის თავმჯდომარეობით მოკავშირე მშრომელთა სოციალისტური კონფერენცია შესდგა.

მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. აგვისტოს 16. ოფიციალი. ბროდის მიმართულებით დიდი სროლაა.

რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. აგვისტოს 15. გუშინ ოკნინის მიმართულებით, გროზესჩის ჩრდილო-რაიონში და სოვეჯის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერს ცხარე იერიშები მოჰქონდათ. ფოკშანის მიმართულებით, გუშინ გათენებისას მტერმა მუნტელეს რაიონში მდებარე ასპარეზზე მოიტანეს იერიში. ჩვენი ერთი დივიზიათაგანი არ გაუძლიანდა მტერს შესაფერისად და არეულად დაიხია თავის პოზიციებზე. მთელი დღის განმავლობაში მტერი განაგრძობდა წინსვლას და გადმოვიდა ირეშტიდ-სურვარინიცა-ფიტისნეშტი-ჩიოსლიანეშტის ხაზს. ღამე, 16 აგვისტოს მტერი განაგრძობდა წინსვლას და გაარღვია ჩვენი პოზიციები ვარნიძის არე-მარეში. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. აგვისტოს 15. მუშის ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავებმა ჯარმა გამორეკა მე-4 როტა პოზიციებიდან, დაზვერა მუშისა და მის სამხრეთით ადგილები, წამოიყვანა ტყვეები და მშვიდობიანად დაბრუნდა ბინაზე.

მომქმედი ლაშქარი. აგვისტოს 15. ჩერნოვიც-ნოვოსელიცის რაიონში გუშინ გერმანელ-ავსტრიელთა და ოსმალთა საერთო შემოტევა დაიწყო. ბრძოლა დღესაც სწარმოებს. რუსის ჯარმა აღმოსავლეთისკენ დაიხია. რუმინელების ჯარი მტკიცედ იცავენ თითო მტკაველ მიწასაც კი, მაგრამ, საუბედუროდ, მტრის სიმრავლე და სიძლიერე უკან ახევინებს.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. აგვისტოს 15. შევრესა და კალიფორნიის ვაკე-გორაკზე გერმანელები ზარბაზნების სროლით შევაჩერეთ. მიურას მთასთან მტერზე თავდასხმა მოვახდინეთ, მზვერავი რაზმები გავფანტეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ. მტრის 2 მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერეთ.

ლონდონი აგვისტოს 15. სენჟელიენპელკაპელლეს გზის იქით 2000 იარდის სიგრძის ბრძოლის პირზე წინ წავიწიეთ და გერმანელთა სანგრებში გავმაგრდით. ამ რაიონში ვერნესსის ტყეში იპრ მენენის გზებზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ.

იტალეთის ასპარეზი.

რომი. აგვისტოს 15. ბაინსიცას ვაკე გორაკზე წინსვლას განვაგრძობთ, ახალი პოზიციები უზრუნველ-ვყავით.

უკანასკნელი დეპეშები.

თათბირი მთავარ ბანაკში.

მოგილევი. აგვისტოს 16. უმაღლესი კომისარის ფილოლენკოს თავმჯდომარეობით მთავარ ბანაკში სასწრაფო თათბირი მოხდა.

პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს გადადგომა.

სტოკჰოლმი. აგვისტოს 16. ლოძის გაზეთების სიტყვით, პოლონეთის სახელმწიფო საბჭო გადადგა.

ლონდონი: აგვისტოს 16. მოკავშირეთა სოციალისტურმა კონფერენციამ 55 ხმით წინააღმდეგ 4 ისა უარყო წინადადება, რომ მოწინააღმდეგის დელეგატებთან არავითარი მოლაპარაკება არ იქონიონ, ვიდრე გერმანელები დაპყრობილ ადგილებს არ დასცლიან.

სოციალისტური კონფერენცია.

ლონდონი. აგვისტოს 16. გაიხსნა სოციალისტურ პარტიების კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენლები ინგლისისა, საფრანგეთისა, რუსეთისა, იტალეთისა, საბერძნეთისა, პორტუგალიისა, ბელგეთისა, სამხრეთ აფრიკის ახალ შენებისა, სულ 68 კაცი. თავმჯდომარე გენდერსონმა განაცხადა, რომ კონფ. გადაწყვეტილებისაგან ბევრს მოელიან. საჭიროა საპატიო დემოკრატიულ ზავის საყოველთაო პირობების შემუშავება. კონფერენციის დადგენილება მსოფლიო პროლეტარიატის დადგენილებათ ჩაითვლება. რუსეთის დელეგატები მონაწილეობას მიიღებენ კონფერენციაში, ვინაიდან უკანასკნელს თათბირის ხასიათი ექნება.

საქონლის გაზიდვის აკრძალვა ამერიკაში.

ნიუ იორკი. აგვისტოს 15. ვილსონმა აღკრძალა ყველა ქვეყნებში სურსათის, სხთობი მასალის, ბამბისა და თავდაცვისათვის სხვა საჭირო საგნების გაზიდვა.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

განკარგულება. გუბ. კომისარის ამხანაგი ქიქოძე აცხადებს: ზოგიერთი ვაჭრები განაგრძობენ სპეკულიაციას და ფასების ხელოვნურათ გადიდებას. ამას სჩადის უმთავრესათ გაუნათლებელი ნაწილი, რომელსაც რევოლუციის ინტერესი არ ესმის და მის მტრათ გამოდის. საქონლის გადამალვა და ხელოვნურათ ფასების აწევა ქალაქის და სოფლის მცხოვრებთა შორის დიდ უკმაყოფილებას იწვევს. მოსალოდნელია ექსცესები. ჩვენ მივმართავთ პროფესიულ ბიუროს, რომ მან გაიგოს იმ ვაჭრების გვარები, რომლებიც სპეკულიაციას ეწევიან და წარმოგვიდგინოს ჩვენ. რევოლუციურ მმართველობის მოვალეობაა დარაჯათ უდგეს მცხოვრებთა ყოველმხრივ უზრუნველ ყოფას და დაიცვას მისი სალი განწყობილება. იმედია, შეგნებული ვაჭრები ამას გაიგებენ და არ გამოიწვევენ ექსცესებს.

კვირას, 20 აგვისტოს, დილის 10 საათზე,
რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება მოწაფეთა (განურჩევლათ სქესისა)

საზოგადო კრება.

კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს ტერიტორიის შესახებ **ნ. შუბლაძე** მოხსენების შემდეგ გაირჩევა მორიგი საკითხი. კრებაზე დასწრება **სავალდებულოა.**

მოწაფეთა პრეზიდიუმი.

✦ **ჯამაგირის მომატება.** საურთიერთო ნდობის ბანკის მოსამსახურეებმა ახალი მოთხოვნილებები წარადგინეს. მოითხოვენ 50 პროცენტის მომატებას. გარდა იმ 100 პროცენტისა, რომელიც წინად მოემატათ დარაჯებმა 75 პროცენტის მომატება ითხოვეს. მოთხოვნილებები უკვე დააკმაყოფილეს. ბანკის თავმჯდომარემ ბ-ნმა ალექსანდრე საყვარელიძემ მომატებაზე უარი განაცხადა.

✦ **კრება.** აგვისტოს 24-ს მოხდება ქუთ. გუბერნიის კომისრების კრება მილიციის მოვალეობის გამოკვლევისა, ხარჯთ-აკრეფის საქმის მოწესრიგებისა და მიმდინარე გეგმის განხილვის შესახებ.

✦ **ცნობები გუბერნიის კომისარს.** სოჭის კომისარი იტყობინება, რომ გაგრისა და გუდაუთის გზაზე ფოსტის მიმოსვლა შეჩერდა, რადგან ყაჩაღები განუწყვეტლივ თავდასხმებს ახდენენ. ცაგერიდან იუწყებიან, რომ იქ მიტინგის დროს მილიციელებს ხალხთან შეტაკება მოუვიდა სროლამ 5 საათს გასტანა შეტაკება მოხდა ვინმე წიქორიძის დატუსაღების გამო. კომისარი იწერება, რომ მაზრაში სრული ანარქიაა. ფოსტას თავს ესხმიან და საჭიროა დამხმარე რაზმის მოშველება.

✦ აგრეთვე დეპეშით იტყობინება ცაგერის აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე: „გარდაფხაძეებმა შეადგინეს შავი რაზმი და მშვიდობიან მცხოვრებთა მიმართ ტერორს ეწევიან. რამდენჯერმე ესროლეს მაზრის კომისარს. მდგომარეობა კრიტიკულია, მოგვაშველეთ ჯარი...

✦ **დელეგატების დაბრუნება.** აგვისტოს 17-ს თბილისიდან დაბრუნდა საქართველოს საეკლესიო კრებაზე საწარმომადგენლოთ წასული იმერეთის სამღვდელოების აღმ. კომიტეტის დელეგაცია.

✦ **ია ეკალაძე—ცინცაძე** იმერეთის სამღვდელოებამ 8 ენკენისთვისთვის დანიშნული კათალიკოსის არჩევნებში თავის წარმომადგენლათ დანიშნა.

✦ **სასურსათო საქმე.** ჩრდილო კავკასიაში ხორბალის შეძენა შესწყდა. ამის გამო აწი ჩრდილო კავკასიაში პირნახულის საყიდლათ ორდერი აღარავის მიეცემა.

✦ **მაგარი ფასები კვერცხზე.** სასურსათო მინისტრის კავკასიის რწმუნებული ლიხაჩევი იტყობინება, რომ კავკასიის საზღვრებში კვერცხის ფასი ასეთია: 1000 ცალი ქათმის ღირს 85 მან.

✦ **ფქვილის მიღება.** ფოთში ქუთაისის საჭიროებისთვის მოვიდა 30 ვაგონი ფქვილი.

✦ **ოქმი აკაკი ფაღავას შესახებ.** ქუთ. ქალაქის და მაზრის მილიციის შემადგენლობის სხდომამ განიხილა აგვისტოს 5-ს აკაკი ფაღავას მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომელიც შეურაცხყოფას აყენებდა მილიციას, და დაადგინა 1) პროტესტი და გმობა გამოეცხადოს ა. ფაღავას, 2) ეთხოვოს ქუთ. გუბ. აღმ. კომიტეტს დაიფაროს მილიცია ამგვარ მოვლენებისაგან.

✦ **მკვლელობა.** აგვისტოს 17-ს ღამით სარაჯიშვილის ქუჩაზე უცნობმა პირებმა მოჰკლეს მილიციელი ალექს ავალიანი. მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **კორძაიას** ქალთა კერძო პროგიმნაზია გადაკეთდა 8 კლასიან სასწავლებლათ. მისაღები გამოცდები დაიწყება აგვისტოს ოციდან.

✦ **სავალდებულო დადგენილება.** გუბერნიის კომისარმა ქალაქში სისუფთავის დასაცავათ შემდეგი წესი გამოსცა: მცხოვრებთ სასტიკათ ეკრძალებათ ქუჩებში სხვადასხვა ხილის ნაჭამის გადაყრა, ნარეცხის გადაქცევა. სახლის პატრონები მოვალენი არიან თავის სახლის წინ ქუჩა ყოველდღე დაგავონ, თხრილებში ჩამდგარი წყალი ამოაშრონ, საკუთარ ეზოებში დაიცვან სისუფთავე, ამოაშრონ ორმოები, სადაც ჭუჭყიანი წყალი დგება, ჰქონდეთ სუფთა ფეხისადგილები, რომელშიც კვირაში ორჯელ კარბოლის სიმჟავე უნდა მოასხან. ბაზარში ყასბებს უნდა ჰქონდეთ თბილი მიტკლები ხორცზე გადასაფარებლათ. ბუზები არ უნდა იყოს სდუქნებში. ბეჭედ-დაურტყმელ შეუმოწმებელ ხორცის გაყიდვა აკრძალულია. სასაკლაოს გარეშე საქონლის დაკვლა არ შეიძლება. მცხოვრებთ ეკრძალებათ ქუჩაში ძაღლებს, ღორების და ძროხების გამოშვება. მცხოვრებნი ვალდებულნი არიან, მთავარ ქუჩებში მაინც თავის სახლის წინ ჩასაფურთხებელი დასდგან.

თფილისი.

✦ **ქალაქის ახალ გამგეობას** ჯერჯერობით ოთხჯერ ჰქონდა სხდომა. პირველ სხდომაზე გამგეობის წევრები ერთმანეთს გაეცნენ; მეორეზე მინდინარე საქმები განიხილეს და მსჯელობა ჰქონდათ ტრამვაის მოსამსახურეთათვის სამხედრო ბეგარის ვადის გადაუების შესახებ, ამასთანავე იმ აზრს დაადგნენ, რომ ორი თვით მაინც გადაუდვან ჯარში გასვლის ვადა; მესამე სხდომაზე გამგეობამ იმსჯელა ურთიერთშორის შრომის განაწილების შესახებ, მაგრამ ეს საკითხი სავსებით არ გადაწყვეტილა, რადგან 2 წევრი გამგეობისა კიდევ არის ასარჩევი, მხოლოდ საბოლოოდ გამოირკვა, რომ საფინანსო განყოფილებას ჩააბარებენ ბ. ნ. სმირნოვს, ხოლო სამოსწავლო განყოფილების ხელმძღვანელობა დაეკისრება ბ ნ კონიაშვილს. მეოთხე სხდომაზე ითათბირეს სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

✦ **ქართული ეკლესიის გარშემო** საეკლესიო კრების მომწვევმა წინასწარმა კრებულმა თავისი მოვალეობა შეასრულა და მარიამობისთვის 16 ს დაიშალა, გამოთხოვების დროს კათალიკოზის მოსაყდრემ თბილისის მიტროპოლიტმა ლეონიდემ გრძნობით აღსავსე სიტყვით მიმართა კრებულს. კრებულმა, სხვათა შორის. მოისმინა დეკ. კორ. კეკელიძის ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება შესახებ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა და სასულიერო სკოლების ნაციონალიზაციისა.

✦ **საეკლესიო სამრევლო სკოლები.** სინოდთან არსებულ სამოსწავლო კომისიის მოწერილობა მოვიდა თბილისში, რომ ყველა საეკლესიო-სამრევლო სკოლები სახალხო განათლების სამინისტროს ხელში გადადისო. ასეთ მოწერილობის გამო ბოდბის სამრევლო სკოლების საბჭო აცხადებს, რომ სკოლებში სწავლა არ განახლდება ახალ განკარგულების მიღებამდისო.

✦ **ფულით დახმარება.** ქართლკახეთის თავად აზნაურთა კომიტეტს, რომლის საგანია ომისაგან დაზარალებულთა დახმარება, სამხედრო მთავრობა 15,000 მანეთს აძლევს, ერთდროული დახმარების სახით, წმ. ნინოს ლაზარეთის შესანახად.

✦ **თბილისის პოლიტეხნიკუმში** (სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე) შესვლის მთხოვნელი ჯერ-ჯერობით 300 კაცამდეა. ამათ შორის ბევრნი არიან თბილისის საშვალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულები. მთხოვნელთა შორის 60 ქალია. არიან უმაღლეს სკოლების სტუდენტებიც და რუსეთის ქალაქებში კურს დამთავრებულნიც. თხოვნების მიღება მარიამობისთვის 25-ს დასრულდება. ინსტიტუტში შესვლის უფლება სამხედრო პირთაც ეძლევათ, თუ კი სწავლის ცენზი აქვთ.

ქართველო ერო!

კაი ხანია, რომ რუსეთის სინოდი, რომელიც პეტრე დიდიდან დაწყებული უკანონოთ პარპაშობს მთელს რუსეთის მიწა-წყალზე, საცინლად იგდებს საქართველოს მრავალ წამებულ მართლმადიდებელ ეკლესიას, იმ საქართველოს ეკლესიას, რომელმაც მას მსოფლიო პატრიარხების წინაშე მართლმადიდებლობა დაუმოწმა, როგორც ერთმა უხუცესმა და ქრისტე-ღმერთის სწავლის უმწიკვლოდ შემნახველმა ეკლესიამ. აი, ამ თავის გამაბედნიერებელ ეკლესიას, სივრცით და რიცხვით პატარას, მაგრამ სულით და გულით რაინდსა და დიდებულს ამ ასი წლის წინეთ ჯერეთ თავისუფლება მოუსპო, მერე ეკლესია მონასტრები გაუცარცვა და წაართვა და ეხლა მთლად გადაყლაპვას უპირობს.

ქართველო ერო, ხომ გაგიგონია, რომ გარეულმა კატამ შინაური კატა გაღენა სახლიდანო. ჩვენ დედა ქალაქ თბილისში რომ მართლა რუსის მიტროპოლიტი წამოსკუპონ, ჩვენ თბილელი მიტროპოლიტი ამ შოვინისტ და პოლიტიკან მიტროპოლიტს თუ გაშორდება, თორემ სხვა გასაქანი გზა სადა ექნება. ამ რიგათ ქართველებო, ჯინზე, როგორ შევაზმავენ გარეგნულად ფარისევლურად რუსეთი თავის მიტროპოლიტს?! ჩვენ ამისათვის საშუალებაც რომ გვქონდეს. ბუნებით ისევ ვართ დაბადებული, რომ ამას მაინც ვერ ვიზამთ და მეოცე საუკუნის ხალხის ამბავი ხომ იცით რომ გარეგნობას უფრო მისდევს და აფასებს, ვინემ შინაგან თვისებებს ამა თუ იმ ადამიანისას. გარდა ამისა დღეს თუ თბილისში დასვეს თავისი მიტროპოლიტი, ვინ არის მისი თავდები, რომ ხვალ ამასვე ქუთაისში, ფოთში, ბათომში და სხვა ჩვენ განაპირა ქალაქებში არ ჩაიდენენ? არა, ქართველებო, რუსეთის სინოდის მადა დიდათაა გაღვიძებული და ამასთანავე გაბრაზებულიც. ამისათვის კიდევაც რომ არ გწამდეს თქვენთაგანს მშობლიური თქვენი ეკლესია, მაინც დაეხმარეთ მას ამ განსაცდელის ჟამს. ამოიღეთ საერთოდ ყველამ ხმა, ხმა პროტესტისა და ამცნეთ მთელი ქვეყნიერებას, თუ რა ძალმომრეობას ხმარობს დიდი და ბუმბერაზი, მაგრამ კაციჭამია სინოდი პატარა, მაგრამ სპეტაკ და ლამაზ საქართველოს ეკლესიის მიმართ. თქვენი ხმა სანუკვარია ჩვენთვის ეკლესიის მოსამსახურეებისათვის.

მ. ქუთათელი,

სასურველი ნაბიჯი.

როგორც „საეკლესიო უწყებებში“ გამოქვეყნდა-სამრევლო სკოლები ახალი მთავრობის განკარგულებით განათლების სამინისტროს უწყებაში გადავიდა, ეს განკარგულება ეცნობა უწმ. სინოდს, რომელიც წინააღმდეგ მთავრობის სურვილსა ველარ წავიდა და 19 ივლისს უყოყმანოთ მიიღო ეს პროექტი; ამ რიგათ ყველა ტიპის სამრევლო სკოლები: ერთი და ორ კომპლექტიანი, ორკლასიანი, საეკლესიო საოსტატო, მეორე კლასის სამასწავლებლო და სხვანი უკვე მოსწყდა სასულიერო მთავრობას... ლიკვიდაცია ამ შკოლების შენობებისა, ინვენტარისა, ადგილების და კრედიტისა იწყება 20 ივლისს და გათავდება სეკტემბრამდის.

მთავრობის აზრი მეტად სასიამოვნო არის და ტაქტიკასა და თეორიის მხრით ფრიად სასარგებლო ნაბიჯის წინ გადადგმათაც უნდა ჩაითვალოს; დღეიდან ჩვენ გვექნება მხოლოთ და მხოლოთ ერთი პროგრამით ერთი და იგივე პირველ დაწყებითი სასწავლებლები და საშვალო სასწავლებლების პროგრამა გაგრძელება იქნება პირველისა და ამ რიგათ სწავლა აღზრდის საქმეში ყოველგვარ შესაბამო პოლიტიკანობასა და ფორმალისტობას ადგილი აღარ ექნება...

რასაკვირველია ძველ მთავრობასაც კარგათ ესმოდა, რომ სხვა და სხვა ტიპის შკოლები სხვა და სხვა გამგეობის ხელში სწავლა აღზრდის საქმეს სახელმწიფოში შესაფერ ნიადაგზე არ აყენებდა; მაგრამ როდის იყო, რომ მას ეს საქმე პროგრესიული მიმდინარეობით დაეგვირგვინებია?! ასეც რომ არ ყოფილიყო, სამრევლო სკოლების დაარსების ინციატივა ეკუთვნოდა მეფე ალექსანდრე მესამეს და მისი პატივის ცემით, ვითომც იმდენათ იყო გამსჭვალული მეფის გვარეულობა და უწმ. სინოდი, რომ ვინ დასძრავდა კრინტს, ეს სკოლები დახურულიყო და სხვა მთავრობის ხელში გადაეცათ!.. ასე წარმოიდგინეთ, რომ 1910 წ. სამრევლო სკოლების არსებობის 25 წლის იუბილეც კი გარდაიხადეს და ამ „დიადი დღის“ აღსანიშნავათ, მოსამსახურეთ კარგი ვერცხლის მენდლებიც კი ჩამოკიდეს გულზე...

მართალია, გარეგანი შეხედულობა ასეთი იყო. მაგრამ თუ ჩავიხედავდით და ჩაუკვირდებოდით მის შინაგან ცხოვრებას, აშკარათ შევამჩნევდით, რომ მთავრობა ამ სკოლებზე პირდაპირ ობსკურანტობას იჩენდა და არავითარ მას დახმარებასა და გაუმჯობესობაზე არ ზრუნავდა: რიგიან შენობას, საცხოვრებლ ოთახს, შეშას, განათებას, მსახურს და გარსაზღვრულ ჯამაგირს მასწავლებელი ყოველთვის მოკლებული იყო... ადმინისტრაცია სულ მტრული თვალით უცქეროდა ამ სკოლებს და სოფლის უბრალო მწერალსა და მამასახლისს მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე მის მასწავლებელს..

რაც შეეხება სამინისტრო სკოლებს, უნდა აღვიაროთ, რომ არც მათი მასწავლებლის მდგომარეობა იყო სახარბიელო,

მაგრამ მოხსენებული საჭირო მოთხოვნილებების მხრივ ცოტათ თუ ბევრათ დაკმაყოფილებულნი იყვნენ და ადგილობრივი ადმინისტრაცია მათ მოთხოვნას უფრო მორიდებით ეპყრობოდა...

ასეთი იყო ადმინისტრაციის შეხედულება ამ ორი დარგის სკოლებზე **მხოლოთ საქართველოში** და, თუ რათ ეპყრობოდა იგი პირველს უნდობლათ და მეორეს ლმობიერათ და ,,სად ემარხა ძაღლის თავი'', თუ ჩაუკვირდებით, ამასაც ადვილათ შევამჩნევთ...

პროგრამა სახალხო და სამრევლო სკოლებისა განსხვავდებოდა მხოლოთ ორ საგანში; ეს იყო ქართული ენა და სამხთო სჯული,—ამ ორ საგანს, ნამეტურ ქართულის სწავლებას, სამრევლო სკოლებში ყოველთვის ზედმეტი ადგილი ეკავა; რაც შეეხება სამინისტრო სკოლებს აქ ქართულის სწავლება ყოველთვის უყურადღებოთ იყო მიტოვებული და მისი სწავლება არავითარ ვალდებულებას არ შეადგენდა მასწავლებლისთვის, და თუ მას თავისი ერონების პატივის ცემა არ აინტერესებდა და სინდისი არ შეაწუხებდა, ქართულისთვის იგი თავს არ შეიწუხებდა და „ლევიცკების, გასპარიანცების“ და ძმათა მათთა გულის მოსაგებლათ და საამებლათ უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მუნჯური (არა თარგმნითი) მეთოდით რუსულის სწავლებას... და თუ კი რომელიმე მასწავლებელი გაბედავდა, ნამეტურ უფროს განყოფილებებში, ქართულის სწავლებას, ამას მთავრობა (რასაკვირველია დამქაშებით) ადვილათ ტყობილობდა და მასწავლებელს წასასვლელათ ბარგი აკრული უნდა ქონებოდა და იძულებითი ცხოვრების სახსარს გამოთხოვებოდა,—დიახ, სწორეთ აქ „კუჭის დაცლის“ შიშიანობას ქონდა ზედმეტი ადგილი მინიჭებული, თორემ რომელი ქართველი მასწავლებელი უნდა იყოს, რომ ქართული სძულდეს და ან მისი შემწეობით რუსულის სწავლება უფრო ადვილათ არ სურვებოდეს თარგმნითი მეთოდის საშუალებით??!

რაც შეეხება სამრევლო სკოლებს მათში, დაწყებული პირველიდან მეექვსე განყოფილებამდი, განუწყვეტლივ ასწავლიდენ სხვა საგნებთან ერთად ქართულ წერა-კითხვას, ისტორიას, გრამატიკას, მწერლობას და სხვას... მართალია არა სპეციალურათ, რადგან ანდაზისა არ იყოს „ერთ ხელთაში არაფერი იყო-მეორეში ყრიდენო“ -თვით მასწავლებლები არ იყვნენ განსწავლული შესაფერათ, რომ ეს საგანი რიგზე ესწავლებიათ, მაგრამ პროვინციაში, თუ კი ვინმემ რაგიანი ქართული წერა-კითხვა იცის, ეს აეოხება უნდა მივაკუთნოთ სამრევლო სკოლებს, რადგან სასულიერო მთავრობა (ქართველი სამღვდელოება) ამ საგანს ამ ბოლო დრომდე ხელიდან არ უშვებდა და სავალდებულოთ ხდიდა მასწავლებლებს ამის სწავლებისთვის; და სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი იმისა, რომ საქართველოს სამრევლო სკოლებს ადმინისტრაცია მტრული თვალით უცქეროდა და სამინისტროსას უფრო ლმობიერათ...

ხოლო ის გარემოება, რომ ჩვენი მასწავლებლები სამსახურს ერთი და ორი წლის შემდევ თავს ანებებდენ-ახსნება მითი, რომ ერთს შიმშილი უწუხებდა გულს და მეორეს მუნჯური მეთოდით ტვინის გამოლაყება.

დღეს კი ცხოვრების მიმდინარეობამ სულ სხვა სახე მიიღო და აზვირთებულმა მდინარემ ყოველგვარი ბოროტების ნასახი ერთბაშათ გადარეცხა.

მაშ, უსურვოთ ჩვენ მასწავლებლებს განახლებულ სკოლებში ხელი-ხელ ჩაკიდებულათ შესდგომოდენ მომავალ სასწავლო წლიდან ენერგიულ მაცადინეობას და მათ შრომას შესაფერი ნაყოფი გამოეღოს ჩვენი მრავალწლობით ტანჯულ სამშობლოს ასაღორძინებლათ და ასაყვავებლათ.

ალ. ხარატიშვილი.

ღალატი მწიგნობრობის საქმეში.

(ქუთათურ მწიგნობრის თავგადასავლიდან).

გაგრძელება იხ.

მომსპო თუ არა ტყაბლაძემ ქალაქში გასაყიდათ სტატტო გაზეთების გზავნა, მანამდი ღალატით, ჩუმათ მოწყობილი თავის საქმე 15 ივლისიდან აშკარაზე გამოიტანა და ყოველივე ღონეს ღონობს, ხერხს ხმარობს, რათა მას (კანტორას) ამდენი ხნის ნოობით მოპოებული სახელი გაუტეხოს. არც ერთი სხვა-გვარი საქონლით მოვაჭრე თავის მოპირდაპირეს ისე უდიერათ, დაუზოგველათ არ მოპყრობა როგორათაც ეპყრობა ტყაბლაძე ჩემ კანტორას და მეც. იგი მას დაუზოგავთ წიხლავს.

მისი იმ თავიდანვე ღალატი შემდეგნაირათ ხასიათდება.

1. გადიტანა თუ არა ჩემი და ნასყიდობის თანხმობით თავის სახლზე სადგურის წიგნის შკაფი იგი იმ თავიდანვე შესდგომია ჩემ ღალატს, რაც უპირველესად მისგან პირობის ქაღალდზე ხელმოუწერლობაში გამოიხატა, მარა ასეთი მისი საქციელი სალაპარაკოთ აღარ გავიხადე, რადგან, როგორც ყოველთვის ამ კულტურულ საქმეში მე საქმით ერთობა მაინტერესებდა და არა ფარატინა ქაღალდი და მაინც ერთად ვმუშაობდით ხოლო თავის გამოთიშვის განზრახვა მან მხოლოდ 8 თვის თავზე მოახერხა.

2. მან სრულიად წინასწარ გაუფთხილებლათ 15 ივლისს, კანტორაში ბუზღურით შემოჭრილმა გაზეთების კეცვა-დარიგების დროს ხალხში ყვირილით გამოაცხადა, რომ ხვალიდან შენ ჩემგან ვერც ერთ გაზეთს ვერ მიიღებ, მე შენ ანგარიშებს აღარ გაკეთებინებ, ისინი ჩამაბარე, შენ შენთვის და მე ჩემთვისო. და რაკი აღარაფერ მოლაპარაკებამ გაჯიუტებულზე აღარ გაჭრა და ერთბაშათ სტატხტი გაზეთების შეწყვეტა მეტათ უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა, ორიოდე დღეს უგზავნიდი ნაღდ ფულს, ვყიდულობდი სადგურზე გაზეთებს და ვკმაყოფილებდი მუდმივ მკითხველებს. მარა მერე ნაღდ ფულზეც აღარ მომყიდა, ამაზეც უარი მტკიცა.

3. იმ დღიდან გადიბირა და წამართვა არა მარტო ქალაქში ქუჩაზე მოვაჭრე ჩემი მეგაზეთეები, მიიმხრო ათ წლიწადს ჩემი გაზეთებით მოვაჭრე აგენტი თეთრ ხიდთან. მოუმატა თფილისიდან გაზეთებს და აძლევს ყველა ამათ ქალაქში გასაყიდლათ და ესენიც ჩემი კანტორის წინ და მის მიყოლ-მოყოლ ყიდიან შკაფის გაზეთებს ნაცვლად ჩემი კანტორის გაზეთებისა, რომლებიც სანახევროთ მჩება მე და მით დიდ ზარალს მაყენებენ მეც და რედაქციებსაც, რომლებიც ერთხელაც არ იკითხავენ: შკაფის აგენტმა რომ ამდენი გაზეთები მოუმატა ნეტა ესეც ყიდის და ქალაქის მეორე აგენტიც ამდენ გაზეთებს? ის კი არა თუ ქალაქის აგენტს სანახევროთ რჩება გაზეთები. ახალი მკითხველები ამ ქიშპობით გამოწვეულ კონკურენციას სრულიად არ მოუმატებია. მკითხველთა კონტიგენტი იგივეა გაზეთების მათგან გაძვირების გამო კლებულობს კიდეც.

მეგაზეთეების გადაბირებასთან ერთად დღეს ვაჟბატონი ტყაბლაძე ოჯახსაც და კანტორაში მოსამსახურე ახალგაზდის გადაპირებასაც ცდილობს მოტყუებით. და აი ასეთი კონკურენციით იგი თავს აწონებს თავის აღას, აქაოდა აი ამდენზე ავსწიე გაზეთების ტირაჟიო.

4. როცა კაი ხნის ჩუმათ ლაპარაკის შემდეგ ერთ წიგნის მაღაზიის პატრონს (ვ. ბ.) იქ საგაზეთე კანტორის გახსნაზე ვეღარ მოურიგდა, რადგან გამოცდილებით ურჩია, რომ მეორე საგაზეთე კანტორა ქუთაისში ვერ იხეირებს და თავი გაანებეო,—მერე ჩემი ღალატით აღგზნებულმა ტყაბლაძემ გამონახა ახალგაზდა ჯგუფი, რომელსაც შეუამხანაგდა და გახსნა სამკითხველო საგაზეთო კანტორა.

5. შემოიკრიბა თუ არა ამხანაგი, ქალაქში დამხმარე თანამგრძნობლები, იგი აძლევს მათ გაზეთებს და ამრიგათ საგრძნობელი ზარალი მიაყენა ჩემ კანტორას და მით ხელი შეუშალა მის ფართოთ წარმოებას.

6. ხოლო კანტორისათვის ამ ნივთიერ ვნებასთან ერთად ჩარჩულის მიზნით ამ საქმეში დაინტერესებული ტყაბლაძე დაიარება ქალაქში და ჩემ ნაცნობ უცნობებში ეწევა უხამ აგიტაციას ჩემსა და ჩემი კანტორის წინაღმდეგ. იგი უშვერის ლანძღვა გინებით ყველას არწმუნებს, რომ ჩემი კანტორა უნდა მოისპოს. ამგვარათ ჩემი საქმის დაცემით ცდილობს ვაგზლის მონოპოლიასთან ერთად, ქალაქში ამ საქმის მონოპოლიაც ჩაიგდოს ხელში, რათა იქაც და აქაც იგი იყოს მოკარნახე ჟურნალ-გაზეთების ფასებისა:

ამის უფლება კი მას, როგორც რკინის გზის შკაფის წარმომადგენელს ძველი რეჟიმის დროშიაც არ ქონდა არც მორალურათ და არც კანონით, იურიდიულათ. გაზეთების გაყიდვის საქმეში ისიც და ქალაქის აგენტებიც შეზღუდულნი იყვნენ თავთავიანთ რაიონით და ერთი და მეორეს ვერ შეეცილებოდნენ გაზეთების გავრცელებაში: ქალაქის აგენტს იჭერდენ თუ ვაგზალში გაზეთების ყიდვას მოასწრებდენ, ხოლო შკაფის აგენტი კი დღეს თავის მონოპოლიას ქმნის ქალაქში რაკი თავგასულია, რომ ამაზე კრინტს ვერავინ ძრავს.

აქ აღარას ვიტყვი მის და მეგაზეთეების მიერ ჟურნალ-გაზეთების გაძვირებაზე, რაკი ამის კანტროლი მყიდველების საქმეა და მათ გამოამჟღავნონ ამის ფაქტები პრესაში და აღნიშნონ კულტურულ საქმეში ჩარჩული მიდრეკილება ბეჭდით სიტყვის ჩარჩ პიროვნებასა.

აი ასეთ ნაირი უდიერი, დაუზოგველი, საანგარო ბრძოლა გამოუცხადა ჩემი საქმის მოღალატე ტყაბლაძემ ამ კულტურულ-ინტელიგენტურათ ნაწარმოებ მწიგნობრობის საქმეს ქუთაისში. ამიტომ დღეს 15 წლის თავზე აღარ შემიძლია არ გამოვამჟღავნო ასეთი თავგადასავალი ბეჭვდითი სიტყვის გავრცელებისა ისეთი კულტურული ცენტრისა, როგორიცაა იმერეთში ქუთაისი, საცა წერა კითხვა ასეთის სისწრაფით ვრცელდება და მის დამხმარე მწიგნობრობის საქმეს კი ასეთ ჩარჩულ მიმართულებას უმზადებენ კერძო პირები თავიანთ ჯიბის სასარგებლოთ.

ისიდორე კვიცარიძე.

(დასასრული ხვალ)

ამბოხება ხარკოვში.

ქ. ხარკოვში აგვისტოს 7. დიდი არეულობა მოხდა, რის საბაბიც შემდეგი იყო: ტრამვაის საფეხურებზე ვიღაც პრაპორშჩიკი იდგა, მილიციონრებმა ის აიძულა ძირს ჩამოსულიყო. მაშინ აფიცერმა სთქვა თურმე: ,,ბრძოლის ველზე ვჭირივართ და აქ კი არაო. მალე მის გარშემო ხალხმა შეიყარა თავი და მილიციონერის დაპატიმრება მოინდომეს, მაგრამ ვაგონი უკვე წასულიყო. უცბად ხალხში გაისმა: ,,მილიციონერებს იარაღი ავყაროთ, რომ არ იყოყლოჩინონ''. ბრბო მახლობელ სამილიციო ნაწილისაკენ გაემართა ბრბოში ბევრი წინასწარ შეიარაღებული აღმოჩნდა. ნაწილი მილიციის სადგომში შევარდა. კომისარის მორიგე თანაშემწემ გაქცევა მოასწრო. ხალხმა იარაღის დატაცება დაიწყო და სადგომის რბევას შეუდგა. ამ დროს გამოჩნდა დრაგუნთა რაზმი, რომელიც ამოღებულ ხმლებით ეკვეთა ბრბოს და გაჰფანტა, მაგრამ ხალხმა მალე იბრუნა ისევ პირი და გარს შემოერტყა დრაგუნებს და მილიციონერებს. როტმისტრს ალყა შემოარტყეს, ჩამოაგდეს ცხენიდან და ვიღაცამ უკვე რევოლვერი დაუმიზნა, მაგრამ როტმისტრი რამდენიმე მილიციონრებისა და თანაშემწის დახმარებით გაიქცა. მათ გამოეკიდენ ჯარისკაცები, რომლებმაც მილიციონერებს წაართვეს ცხენები, მაგრამ ვერ მიეწიენ.

არა ნაკლებ საყურადღებო ამბავი დატრიალდა ქალაქის მეორე ნაწილში, ზმიევის ქუჩაზე დრაგუნთა ყაზარმებთან აუარებელმა ხალხმა შეიყარა თავი. ის იყო ხალხი იარაღით ხელში ყაზარმების დარბევას უნდა შესდგომოდა, მაგრამ ერთმა აფიცერმა სიტყვით დააწყნარა ხალხი.

მესამე ალაგას, მე-6 სამილიციო ნაწილში ხალხი შევარდა, იარაღი დაიტაცა და რბევას შეუდგა, ამ დროს კომისარის თანაშემწე ლიუბიმოვი მოვიდა. გამოჩნდა თუ არა იგი, ეცნენ მას, ზოგმა ხელები დაუკავა, ზოგმა მხრები, ერთმა ყელში წაუჭირა და აღრჩობდნენ, მაგრამ სამხედრო კომისარის ადიუტანტმა და რამდენიმე დრაგუნმა ის გადაარჩინეს. საღამოთი, როგორც იყო, ბრბო ნელნელა დაიშალა.

გამოძიებამ გამოარკვია, რომ ამ ამბოხებას ყოფილი კატორღელები და ქურდები მეთაურობდნენ.

ზანბალი.

რუსეთი,

სურსათის კრიზისი.

სასურსათო სამინისტრომ საერობო გუბერნიებში სურსათის კრიზისისაგან თავდასახწევათ საჭიროთ დაინახა პურის მონოპოლიის გამოცხადება. მონოპოლია ზოგ ადგილას უკმაყოფილებას იწვევს. ზოგ ადგილას მოითხოვენ, რომ (ვორონეჟის გუბერნია) ჭირნახული ისევ კერძო თაოსნობაში დარჩეს და მასზე აწეულ იქმნას მაგარი ფასები. სასურსათო სამინისტრომ თავის გაზ. ,,სასურსათო უწყებაში'' ოფიციალათ გამოაცხადა, რომ მიმდინარე წლის ჭირნახულზე არსებულ მაგარ ფასების კიდევ აწევა დრ. მმართველობის მიერ აკრძალულია.

ვაჭარ მრეწველთა მთავარ კომიტეტის ჩივილი.

მინისტრთა თავმჯდომარეს ვაჭარ-მრეწველთა მთავარ კომიტეტმა საჩივარი წარუდგინა. კომიტეტი აცხადებს, რომ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ვაჭრობა-მრეწველობის დარგში აღმოცენებული უთანხმოება ცალკე მრეწველებთან და მუშათა ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოაგვარა. კომიტეტის აზრით ეს შეთანხმება კატასტროფას და დაღუპვას უმზადებს რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობას, რადგან შეთანხმება და პირობების დადება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მთავარ კომიტეტთანო. კომიტეტი აგრეთვე ხაზგასმით ეხება იმ გარემოებას, რომ არც ერთი ვაჭარ-მრეწველი, რომელიც ავანტიურის გზაზე არა სდგას, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს შეთანხმებას არ მიიღებს, რადგან მუშების შრომის ფასი, რომელიც შეთანხმების მეორე მუხლშია მოხსენებული, ბევრათ სჭარბობს ვაჭარ-მრეწველთა შემოსავალს. კომიტეტი სთხოვს პირველ მინისტრს გაუქმებულ იქმნას შეთანხმება.

გაფიცვის მოლოდინში.

პეტრეს ქალაქში ყველა სავაჭრო ბანკების მოსამსახურენი ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ გაფიცვას აწყობენ. გაფიცვა მზადდება აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა შორის.

წმ. გიორგის ჯვრები სამხედრო ფლოტზე მოსამსახურეთ.

დრ. მმართველობამ დაადგინა დღეიდან წმ. გიორგის ჯვრები სამხედრო ფლოტზე მოსამსახურეთაც მიეცეთ. მეზღვაურებს, აგრეთვე მიეცემათ ოფიცრის მეოთხე ხარისხის გიორგი.

პეტრეს ქალაქის განსაცდელი.

პეტრეს ქალაქი ლამის არის შიმშილობის მსხვერპლი გახდეს. აგვისტოში შესაზიდი პური ივლისში შეზიდეს, რაც უკვე გათავებულა. სურსათის მინისტრს იმედი არ აქვს, რომ პეტროგრადი პურით უზრუნველჰყოს. პურის საეკონომიოს აზრათ აქვთ, დედა ქალაქიდან ზედმეტ მცხოვრებთა იძულებითი გამოძევება.

მოხსენება სამხედრო მინისტრს.

ალ. კერენსკის წარუდგა სამხედრო სამრეწველო ქარხნების საქმეთა მეთვალყურე მანავსკი და მოახსენა, რომ მდგომარეობა მეტად კრიტიკული და უნუგეშოა. მუშაობა არ სრულდება. მუშები ფასს ადიდებენ. ფრონტზე ძლიერ საჭირო შეიქნა ჩქარ-ჩქარა მიშველება ცეცხლის მფრქვეველ მასალისა, მაგრამ ქარხნებში საკმაოდ არაფერი მზადდება.

ივლისის 3—5 ს დატუსაღებულები.

პეტრეს ქალაქის სამოსამართლო პალატის პროკურორმა წინადადება მისცა ოლქის სასამართლოს პროკურორს, რომ მან შეამოწმოს, იმყოფებიან თუ არა საპყრობილეში ყველა ის პირები, რომლებიც 3—5 ივლისის ამბების გამო შეიპყრეს. მათი საქმის გარჩევა მოკლე დროშია დანიშნული. მოწმეებათ დიდ პირებს გამოიწვევენ.

დამშეულთა ყრილობა.

ამას წინეთ ლუგაში შესდგა დამშეულ სახალხო მასწავლებელთა ყრილობა.

რუსეთის სახალხო კულტურისათვის მხნე მებრძოლთა მაგიერ ყრილობაზე აჩრდილად ქცეული ადამიანები მოვიდნენ. ისინი მოვიდნენ გამხდარნი, დაფხრეწილ ტანისამოსით და ფეხსაცმელებით, რათა განეცხადებინათ, რომ ასეთ პირობებში ცხოვრება მათ აღარ შეუძლიათ, რომ 47 მანეთით სოფელშიც კი არ შეიძლება არსებობა.

მასწავლებლები [illegible] საყოველთაო სავალდებულო სწავლება.

ყრილობამ აღიარა, რომ სახალხო მასწავლებელს 47 მანეთით არსებობა არ შეუძლია, და დაადგინა, სთხოვოს მთავრობას სახალხო მასწავლებლის ჯამაგირის გადიდება 100 მანეთამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შიმშილით რომ არ დაიხოცონ, მასწავლებლები იძულებული იქნებიან თავისი საქმე მიატოვონ და სხვა სამუშაო ეძებონ. თუ სახალხო განათლების სამინისტრო მასწავლებელთა მდგომარეობაში არ შევა, შემოდგომიდან დაიწყება არა საყოველთაო სწავლება, არამედ სწავლის საყოველთაო დავიწყება.

დამფუძნებელი კრების გარშემო.

დრ. მმართველობის განკარგულებით დამფუძნებელ კრების მომწყობ სრულიად რუსეთის საარჩევნო კომისიის სამეთვალყუროთ დაინიშნა ნ. ავიანოვი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს. 47	წ.
„	— საღამ. —	8 ს. 49	„
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 55	„
„	— ღამის —	11 ს. 42	„
„	— დილის —	10 ს. 20	„
ფოთიდან	— დილის —	8 ს. 17	„
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს.	„
	დილის —	9 ს. 10	„
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	8 ს. 25	„
„	— ღამის —	10 ს. 20	„
ბათომისაკენ	— საღამოს	7 ს. 1	„
„	— დღით —	1 ს. 40	„
„	— დილის —	6 ს. 20	„
ფოთისაკენ	— დღისით —	3 ს. 18	წ.
ტყიბულისაკენ	— დილის —	7 ს. 57	„
	— დღით —	2 ს. 37	„
ხაშურისაკენ	— დღით —	4 ს. 40	„

ექიმები

ი. ჩარექაძე ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.
(სისხლში უსხმს „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხა.
ტელეფონი 135 №.

ვ. ი. ბოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი **ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემსინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავადმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი-

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**
გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში